საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2666/01
18/03/2022

2666-01-2-202203181605

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიას

შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიას“
მის: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #5 და #7

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

2022 წლის 2 თებერვალს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იქნა ქ. გურჯაანში, წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც მიმდინარე წლის 22 მარტს 13:00 სთ-ზე, ქ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში (მის: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის გამზ. N13) ჩაინიშნა გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა.

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 18 მარტის N2618/01 წერილის შესაბამისად, გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, ზემოაღნიშნულ პროექტზე სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. **მოცემული გარემოების გათვალისწინებით 2022 წლის 22 მარტს ჩანიშნული საჯარო განხილვა აღარ ჩატარდება.** ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და განხილვის გაუქმების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული - https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33856).

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული ინფორმაციის განთავსება, როგორც გურჯაანის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და **განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადმოაგზავნოთ ფოტომასალის სახით.**

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044